საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 27 თებერვალი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №48

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით სააუქციონო კომისიის შექმნის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 თებერვლის №22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო აუქციონის ორგანიზების მიზნით სააუქციონო კომისიის შექმნის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 21 თებერვლის №22 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი სააუქციონო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე – გიორგი ღურჯუმელიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

ბ) აუქციონატორი – ბახვა ჩხარტიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

გ) მდივანი – ნანა ხომერიკი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი სასამართლოსთან ურთიერთობის საკითხებში;

დ) რეგისტრატორი – პელაგია კალანდაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

ე) კომისიის წევრები:

ე.ა) თინათინ ლომჯარია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი;

ე.ბ) მერაბი წივწივაძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსი;

ე.გ) თემური გიორგაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის ეკონომიკისა და საინვესტიციო განყოფილების უფროსი;

Created by free version of DocuFreezer

ე.დ) თამაზი ცერცვაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში;“

მუხლი 2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **ავთანდილ მექვაბიშვილი**

Created by free version of DocuFreezer